



# სიძულვილი სხვა და განდევნილი წარმომადგენლობა მედიასში

ნიმუსიანი კვლევა **მონიტორინგი**

1 იანვარი - 15 თებერვალი, 2016



Kingdom of the Netherlands



ავტორები:

თამარ ხორბალაძე  
თინა გოგოლაძე

რეცენზენტი:

ჟან მარი კოტი, FPU-ს ექსპერტი

მკვლევრები:

თამარ გაგნიაშვილი, სოფო გოგაძე, ხატია ლომიძე, რომან ბაინდურაშვილი, თამარ სოფრომაძე, ირაკლი ცხადაძე, მარიამ ცუცქერიძე, ნათია გოგელია, ნათია გოგოლაშვილი, დალი ქურდაძე

რედაქტორი:

თამარ კინწურაშვილი



Kingdom of the Netherlands

„ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ პროექტის „გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მედია არჩევნებზე დემოკრატიული პრაქტიკის განმტკიცებისთვის“ ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. მასალაში წარმოდგენილი შეფასებები და პოზიცია შესაძლოა არ წარმოადგენდეს ნიდერლანდების სამეფოს პოზიციას. © 2016, მედიის განვითარების ფონდი.

© 2016, მედიის განვითარების ფონდი

MDFGEORGIA.GE  
MEDIAMETER.GE/GE

## შესავალი

"მედიის განვითარების ფონდი" 2016 წლის 1 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერილი პროექტის "გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მედია არჩევნებზე დემოკრატიული პრაქტიკის განმტკიცებისთვის" ფარგლებში, წინასაარჩევნო მედია მონიტორინგს ახორციელებს.

კვლევის ფარგლებში ხორციელდება დაკვირვება პოლიტიკური სუბიექტების მიერ და მათ მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე; ასევე პოლიტიკური სუბიექტების გენდერულ წარმომადგენლობაზე მედიაში და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაზე.

**მეთოდოლოგია.** მონიტორინგის მეთოდოლოგია "მედიის განვითარების ფონდისთვის" Free Press Unlimited-ის (FPU) კონსულტანტმა დომინიკ ტიერმა შეიმუშავა.<sup>1</sup> ანგარიშის რეცენზირება კი FPU-ის ექსპერტ ჟან-მარი კოუტს ეკუთვნის.

მონიტორინგის სუბიექტებად შემდეგი სატელევიზიო არხების საინფორმაციო გამოშვებები შეირჩინენ: საზოგადოებრივი მაუწყებელი (მომხმე 20:00 სთ-ზე), რუსთავი 2 (კურიერი 21:00 სთ-ზე), იმედი (ქრონიკა 20:00 სთ-ზე), მაესტრო (მაესტროს კონტაქტი 20-ზე), კავკასია (დღეს 20:30-ზე), ტაბულა (ფოკუსი 19:00), GDS (20:30). 1 ივნისიდან ასევე დაემატა ტვ ობიექტივი (ახალი ამბები 19:30) რომლის საინფორმაციო გამოშვება ეთერში 16 მაისიდან გავიდა.

ონლაინ მედიიდან მონიტორინგის სუბიექტები არიან: "ინტერპრესნიუსი" (IPN), PIA, "ნეტგაზეთი", "პირველი რადიო", "მარშალპრესი". მონიტორინგის სუბიექტების შერჩევა, როგორც აუდიტორიის მოცვის, ასევე გავლენის ნიშნით მოხდა. გათვალისწინებული იყო, როგორც სატელევიზიო რეიტინგები, ასევე მედიის განვითარების ფონდის მიერ 2016 წელს, მონიტორინგის დაწყებამდე ჩატარებული "პოლიტიკური პარტიების საჭიროებების კვლევა"<sup>2</sup>, სადაც პოლიტიკურად აფელირებული მედია საშუალებები თავად პოლიტიკურმა სუბიექტებმა დაასახელეს.

წინამდებარე ანგარიში 1 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს.

<sup>1</sup> დეტალურად მონიტორინგის მეთოდოლოგია იხ. ([http://mdfgeorgia.ge/uploads//elections\\_GEO\\_1.pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads//elections_GEO_1.pdf))

<sup>2</sup> <http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/33>

# სარჩევი

მთავარი მიზნებები	4
1. სიძულვილის ენა	6
2. პოლიტიკური სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა და სტერეოტიპები საბელევიზიო და ონლაინ მედიაში	13

## მოქალაქეების მიზნობრივი

მონიტორინგის პერიოდში (1 აპრილი - 15 ოქტომბერი, 2016) შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

### სიძულვილის ენა

- პოლიტიკური სუბიექტების მიერ და მათ მიმართ სიძულვილის ენის შემცველი 41 განცხადებიდან, რომელიც მედიაში 67-ჯერ გაშუქდა, კვლავ დომონირებდა ჰომოფობიური ხასიათის გამოხატვა (20), რასაც მოსდევს პოლიტიკური ოპონენტების მიმართ გამოხატული შეუწყნარებლობისა და ძალადობის წახალისების 7 შემთხვევა. დაფიქსირდა ქსენოფობიური შინაარსის 6, ფსიქიკურად დაავადებულ პირთა დისკრიმინაციის 4 და რასისტული გამოხატვის 2 შემთხვევა.
- სიძულვილის ენის კვლევაზე მეტ შემთხვევას (14) "ქართული ოცნების" მხრიდან ჰქონდა ადგილი და ჰომოფობიური ხასიათის იყო. რასისტული გამოხატვის ორი შემთხვევიდან, ერთის წყარო ამერიკაში საქართველოს ელჩი არჩილ გეგეშიძეა, რომელიც ამჟამად ამ თანამდებობას აღარ იკავებს, ხოლო მეორის - "პარტიოთა ალიანსის" წევრი, ზაზა მამალაძე.
- ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებში გასული ჰომოფობიური შინაარსის შემცველი 13 სიუჟეტიდან, ოთხ შემთხვევაში (საზოგადოებრივი მაუწყებელი 2, "იმედი" 1, "კავკასია" 1) მედიას არ აღუნიშნავს, რომ გამოხატვა დისკრიმინაციული ხასიათის იყო.
- ტვ მედიაში პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან ქსენოფობიური გამონათქვამების გაშუქების ოთხი შემთხვევიდან ("ობიექტივი" 3, "კავკასია" 1), საინფორმაციო გამოშვებათა სარედაქციო ტექსტში, არ აღნიშნულა გამონათქვამთა დისკრიმინაციული ხასიათი.
- ონლაინ მედიაში სიძულვილის ენის გაშუქებისას, სტანდარტს სრულფასოვნად მხოლოდ „ნეტგაზეთი“ იცავდა, რომელიც მკაფიოდ აღნიშნავდა, თუ რა სახის გამოხატვა იყო წარმოდგენილი. განსხვავებული ტენდენცია გამოვლინდა სხვა ონლაინ პლატფორმებზე ("მარშალპრესი", IPN, PIA პირველი რადიო), სადაც სიძულვის ენის გაშუქებისას, სარედაქციო ტექსტში არ იყო განსაზღვრული გამონათქვამთა დისკრიმინაციული ხასიათი. "მარშალპრესზე" ჰომოფობიური თუ დისკრიმინაციული გამონათქვამთა გაშუქების 13 შემთხვევიდან 9 შემთხვევაში სათაურად რესპონდენტის ძალადობრივი ან დისკრიმინაციული ციტატები იყო გამოტანილი.

### გენდერული წარმომადგენლობა მედიაში

- საარჩევნო სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა ტელევიზიებში (კაცი-84%, ქალი-16%) და ონლაინ მედიაში (კაცი-85%, ქალი -15%) თითქმის იდენტურია; ტელემედიიდან ქალ პოლიტიკურ სუბიექტებს ყველაზე მეტ დროს ტელეკომპანია „ობიექტივი“ უთმობდა (19%); ყველაზე ნაკლებს - „მაესტრო“ (14%) და „იმედი“ (14%). ონლაინ-მედიიდან ქალი პოლიტიკოსების გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სააგენტო PIA-ს (18 %) აქვს, ყველაზე დაბალი - „მარშალპრესს“ (13%).
- ქალი პოლიტიკოსები მედიაში მამაკაცებზე უფრო ხშირად არიან წარმოდგენილი პირდაპირი გაშუქების ფორმით: ტელემედიაში ქალი პოლიტიკოსების პირდაპირი გაშუქება (75%) კაცი პოლიტიკოსებისას ( 65%) აჭარბებს. ქალი პოლიტიკოსების პირდაპირი გაშუქება (59%) კაცი პოლიტიკოსებისას (51%) აღემატება ონლაინ მედიაშიც.

- ტელე-მედიაში ქალი პოლიტიკოსები ყველაზე მეტად შემდეგი 3 თემატური ჯგუფის ფარგლებში არიან გაშუქებული: მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხები (18,7%); პოლიტიკური პარტიების ღონისძიებები, კანდიდატების წარდგენები (17,5%) და არჩევნებთან დაკავშირებული საკანონმდებლო თუ სხვა საკითხები (16%).
- ონლაინ-მედიაში პირველ ადგილზეა პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების გაშუქება (26,4%), რომელსაც სხვადასხვა პოლიტიკური აქტორის მიერ პოლიტიკური მოვლენების შეფასებები მოჰყვება (12,8%); მესამე ადგილზე არის საარჩევნო საკითხები 11,4%.
- მონიტორინგის სამიზნე მედიაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან გენდერული სტერეოტიპების შემცველი გამოხატვის სულ 6 გამოხატვა გამოიკვეთა, რაც მონიტორინგის ქვეშ მყოფმა მედიამ 12-ჯერ გააშუქა. 4-ის წყარო იყო "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წარმომადგენლები, ორის - "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" წარმომადგენლები.

# 1. სიძულვილის ანა

**რეგულაციები.** ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციის<sup>3</sup> თანახმად, სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტობას ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.

საქართველოს კანონმდებლობით სიძულვილის ენა კრიმინალიზებული არ არის, იმ შემთხვევების გარდა, როცა ის მყისიერ, გარდაუვალ და აშკარა ძალადობის საფრთხეს ქმნის. სიძულვილის ენაზე პროგრამული შეზღუდვები მხოლოდ მაუწყებლების შემთხვევაში არის დადგენილი: მაუწყებლობის შესახებ კანონის 56.3 მუხლის თანახმად:

“იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას”.

სიძულვილის ენის შემლუდავი სტანდარტები მაუწყებელთა ქცევის კოდექსით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსითა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიითაც არის დადგენილი. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე, ნორმატიული აქტის სახით არის მიღებული. კოდექსის საფუძველზე 2009 წლიდან მაუწყებლებში შექმნილია თვითრეგულირების ორგანოები (კომისია და სააპელაციო ინსტანცია), რომელიც კოდექსის დებულებათა დარღვევის შემთხვევებს განიხილავს. როგორც ევროსაბჭოს ანგარიშშია აღნიშნული<sup>4</sup>, სიძულვილის ენასთან და დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე თვითრეგულირების მექანიზმის ეფექტიანად ყოველთვის არ მუშაობს, რადგან ამ ტიპის საქმეებში მაუწყებლები არაერთგვაროვნად განმარტავენ დაინტერესებული პირის ცნებას და უარს ამბობენ არასამთავრობო ორგანიზაციების და პირთა ფართო ჯგუფის მიერ ინიცირებული საჩივრების განხილვაზე.


## რაოდენობრივი მონაცემები

საანგარიშო პერიოდში (1 აპრილი -15 ოქტომბერი, 2016) პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან და პოლიტიკური სუბიექტების მიმართ, სიძულვილის ენის შემცველი 41 განცხადება გაკეთდა და მონიტორინგის ქვეშ მყოფ სატელევიზიო ახალ ამბებსა და ონლაინ მედიაში გავრცელდა (67). სიძულვილის ენის შინაარსის მქონე გამონათქვამებს შორის, ყველაზე მეტი (20) ჰომოფობიური ხასიათის იყო, რასაც მოსდევს ქსენოფობიური გამონათქვამების რაოდენობა (6). დაფიქსირდა პოლიტიკური ოპონენტების მიმართ გამოხატული შეუწყნარებლობისა და ძალადობის წახალისების 7, ფსიქიკურად დაავადებულ პირთა დისკრიმინაციის 4 და რასისტული გამოხატვის 2 შემთხვევა.

<sup>3</sup> ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე No.R(9)20,1997 [http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/other\\_committees/dh-igbt\\_docs/CM\\_Rec\(97\)20\\_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/other_committees/dh-igbt_docs/CM_Rec(97)20_en.pdf)

<sup>4</sup> ევროპის საბჭო, (10 დეკემბერი, 2015) ანგარიში საქართველოში ჟურნალისტების ეთიკური უფლებებისა და პასუხისმგებლობის მდგომარეობის შესახებ

დიაგრამა 1.1 სიძულვილის ენის ტიპოლოგია წყაროების მიხედვით



ჰომოფობიური გამონათქვამების რაოდენობით პირველ ადგილს, მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იკავებენ (14). მონიტორინგის პერიოდში, პარტიის წევრების მხრიდან ჰომოფობიური შინაარსის კომენტარები იმ კონსტიტუციურ ცვლილებას ეხებოდა, რომელიც საქართველოს უზენაეს კანონში ოჯახის ცნების განმარტებაში, ცვლილების შეტანას ისახავდა მიზნად. ჰომოფობიური ხასიათის გამონათქვამების რაოდენობით „ქართული ოცნების“ წევრებს „პატრიოტთა ალიანსი“ (2), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (2), „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ (1) და „ლეიბორისტული პარტიის“ (1) წარმომადგენლები მოსდევნ.

ქვემოთ მოყვანილია სიძულვილის ენის ცალკეული მაგალითები ტიპოლოგიის მიხედვით, რომლებიც მედიაში 1 აგვისტოსა და 15 ოქტომბრის პერიოდში გავიდა, ხოლო 1 აპრილიდან 1 აგვისტომდე მაგალითები სრულად წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედურ ანგარიშშია მოცემული<sup>5</sup>.

**ჰომოფობია**

ნუკრი ქანთარია, "ქართული ოცნება": "არასოდეს ყოფილა რომეო და რომეო, ჯულიეტა და ჯულიეტა, ხომ? ეს მაინც არ იწვევებს თანაგრძობას, არ იწვევს თანაგრძობას იმიტომ, რომ ეს არ არის ბუნებრივი, ეს არის გადახრა, ეს არის ზოგჯერ წამხედურობა, ზოგჯერ სენი, მაგრამ ეს არ არის ორგანული". (27 მაისი)

შალვა ნათელაშვილი, "ლეიბორისტული პარტია": "შე პედერასტო ბავშვო [მიმართავს ჟურნალისტს], არ ანებებ თავს ტრ\*კის მიმცემლების ....გამოყვანას ტელევიზიით. შე პოლიციის აგენტო". (18 სექტემბერი)

გიორგი ახვლედიანი, "დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო": "დღეს, როდესაც გააქტიურდა რეფერენდუმის საკითხი, პრეზიდენტმა ერთმნიშვნელოვნად უნდა გადაწყვიტოს რეფერენდუმის დაშვება, ამ საკითხის რეფერენდუმზე დაყენება და გადაწყვიტოს ჩვენმა ქვეყანამ, თითოეულმა მოქალაქემ, როგორ ქვეყანაში უნდათ ცხოვრება, ანუ გარყვნილების და უწყობის დაკანონებით, თუ ტრადიციული და ქართული ცხოვრების წესით?" (4 აგვისტო)

<sup>5</sup> <http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/43>



## თურქოფობია

მონიტორინგის მეორე ეტაპზე, ქსენოფობიურ გამონათქვამთა რაოდენობის მხრივ "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" გამოირჩეოდა (6). თურქეთთან მიმართებაში პარტიის პოზიციის ამსახველი განცხადებები მოსაზღვრე სახელმწიფოს მიერ აჭარის ტერიტორიების მიტაცებისა და რეგიონის იდეოლოგიურ ექსპანსიის შიშს აღვივებდა. "პატრიოტთა ალიანსის" ლიდერთა ამ შინაარსის გამონათქვამები რიგ შემთხვევებში თურქული სკოლის ფუნქციონირებით ან აჭარაში თურქეთის მოქალაქეთა ინვესტიციების ზრდით იყო მოტივირებული.

დავით თარხან-მოურავი, "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი": "რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 22% აქვს ოკუპირებული. 98 წლის წინ თურქეთმა ჩვენი ტერიტორიის 33%-ის ოკუპაცია მოახდინა. თურქეთი დღესაც უზარმაზარ ძალისხმევას ხარჯავს აჭარის დაპყრობისთვის." (1 სექტემბერი)

ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი: "ბათუმში თურქული სკოლის გახსნის ფაქტი, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ხორციელდება იდეოლოგიური ექსპანსიაც. ქართული სახელმწიფოს ფარგლებში თურქული სკოლის გახსნა, სადაც თურქეთიდან მოწვეული პედაგოგები არიან, თურქეთის განათლების სისტემის მიხედვით წავა სწავლება. ეს არ ემსახურება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს." (21 სექტემბერი)

## რასისტული გამოხატვა

მონიტორინგის პერიოდში რასისტული გამოხატვის ორი შემთხვევა დაფიქსირდა მონიტორინგის პირველ ეტაპზე, დისკრიმინაციული გამოხატვა ამერიკაში საქართველოს ყოფილ ელჩს არჩილ გეგეშიძეს ეკუთვნოდა:

"ფაქტია, რომ ვარსებობთ და რომ არა ეს ტრაქტატი [რუსეთთან], სპარსელებივით მუგუზალივით შავი წარბები და თმები გვექნებოდა."

მონიტორინგის მეორე ეტაპზე, რასისტული გამოხატვის წყარო "საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" წევრი ზაზა მამალაძე იყო. პოლიტიკოსმა დისკრიმინაციული გამოხატვის ფორმა სამედიცინო ინსტიტუტის ერაყელი და იდოელი სტუდენტების მიმართ გამოიყენა:

"აი, საბურთალოზე, ჩვენთან, იქ გავლა აღარ მინდა, რაა. რატო არ მინდა, იცით? იმიტომ, რომ ამ სამედიცინო ინსტიტუტის გადამიკიდე, თუკი ვინმე შავი იყო დედამიწის ზურგზე, ყველა იქ ჩამოვიდა, რაა... ადრე იყო სიმღერა რა, რაცა "ყარს, ყარს, ყადიდარარირი..." ახლა არის საბურთალოზე იგივე მდგომარეობა... გაუმარჯოს ყველას თავის ერაყში და ინდოეთში, მე ჩემი ქალაქი და ჩემი ქვეყანა დამანებეთ!"

## ფსიქიკურად დაავადებულთა დისკრიმინაცია

მონიტორინგის პირველ ეტაპზე, ფსიქიკურად დაავადებულთა დისკრიმინაციის ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. "ქართული ოცნების" წარმომადგენელმა ნუკრი ქანთარია დისკრიმინაციული გამონათქვამი "რადიო თავისუფლების" ჟურნალისტის მიმართ გამოიყენა. წინასაარჩევნო პერიოდის მოახლოებასთან ერთად, მონიტორინგის მეორე ეტაპზე, პოლიტიკოსთა მიერ ფსიქიკურად დაავადებულთა დისკრიმინაციული ფრაზების გამოყენების შემთხვევებმა იმატა. მსგავსი განცხადებები ხშირად სხვადასხვა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ საკითხზე ოპონირებისას გამოიყენებოდა. "პატრიოტთა ალიანსის" ლიდერმა, ირმა ინაშვილმა "ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის კრიტიკისას, ამავე პარტიის წარმომადგენლებს ფსიქიკურად ტრავმირებულები უწოდა. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრის ბექა

ბასილაიასა და "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ლიდერის, შალვა ნათელაშვილის მიერ მსგავსი დისკრიმინაციული გამოხატვა ბიძინა ივანიშვილის მიმართ იქნა გამოყენებული.

ირმა ინაშვილი, "პატრიოტთა ალიანსი": "2003 წელს, როდესაც დემოკრატიის სახელით, ჰუმანიზმის სახელით, მაღალი იდეალების სახელით, ხელისუფლებაში მოვიდა ფსიქიკურად დაავადებული პოლიტიკოსების ჯგუფი [ნაციონალური მოძრაობის წევრები], რომლებმაც ჯერ კიდევ ბავშვობაში მიიღეს ფსიქიკური ტრავმები და შემდეგ უკვე მოვიდნენ ხელისუფლებაში და ეს გაბოროტება გადმოიტანეს და გადმოანთხიეს საზოგადოებაზე." (29 აგვისტო)

ბექა ბასილაია, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა": "ხალხი [საკონსტიტუციოს მოსამართლეები], რომელიც ემსახურება არა კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას, არამედ, ერთი კაცის შიზოფრენიულ ინტერესებს." (19 სექტემბერი)

შალვა ნათელაშვილი, "საქართველოს ლეიბორისტული პარტია": "მე მინდა მოგახსენოთ, რომ ბიძინა ივანიშვილი დაავადებულია შიზოფრენიის განსაკუთრებული ფორმით, რომელსაც ქვია, ალბათ, თვალთვალის მანია"... (15 სექტემბერი)

## სიძულვილის ენა

"სოციალისტური საქართველოს" ლიდერმა სიძულვილის ენა "ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან" მიმართებაში გამოიყენა.

გრიშა ონიანი, "სოციალისტური საქართველო": "ხელისუფლებაში მოსასვლელად არ ვემზადები, მაგრამ თქვენს [ნაციონალური მოძრაობა] ჩასაქოლად კი მოვემზადები".

## ძალადობის ნახალისება

საგულისხმოა ძალადობისკენ მოწოდების ორი შემთხვევა. აღნიშნული ციტატების წყაროები პოლიტიკურ სუბიექტებს არ წარმოადგენენ, თუმცა მათი გამონათქვამები "ნაციონალური მოძრაობის" წევრების მიმართ ძალადობრივი ანგარიშსწორების მოწოდებებს შეიცავს. ძალადობიკენ მოწოდების შინაარსის განცხადებები ორივე შემთხვევაში "მარშალპრესზე" გამოქვეყნდა, თუმცა სტატიებში, განცხადებათა ძალადობრივი ხასიათი არ აღნიშნულა. რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ ძალადობისკენ მოწოდება მუზეუმების გაერთიანების გადაწყვეტილების გაკრიტიკებისას "ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი კანდიდატის, სანდრა რულოვსისა და მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამოიყენა.

გიორგი შენგელაია, რეჟისორი: „სანდრა რულოვსი მთავარ მოედანზე ისევ ფეხებით ჩამოსაკიდი, როგორც სააკაშვილი. ხომ გახსოვთ, მუსოლინი პარტიზანებმა, უბრალო ხალხმა ტყეში დაიჭირეს (სახელმწიფო არ იყო ამაში ჩარეული), გასამართლების გარეშე დახვრიტეს, მერე მილანში ჩაიყვანეს და ჩამოკიდეს. ასევე ჩამოკიდეს მისი საყვარელიც!“

ძალადობისკენ მოწოდებას შეიცავდა "მარშალპრესზე" გამოქვეყნებული გივი სიხარულიძის კომენტარი. მსახიობმა ძალადობისკენ მოწოდება, 17 მაისის მოვლენების შეფასებისას, "ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატ მარიამ საჯაიას მიმართ გამოიყენა:

"მახსენდება, ერთ-ერთ გაზეთში მარიამ საჯაიას განცხადება, რომელიც თვლის, რომ ქორწინების დროს სქესს მნიშვნელობა არ აქვს, მე არ ვიცი, ვინ არის მარიამ საჯაია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ სახალხოდ უნდა გამოიყვანონ, კოცონი დაანთონ და დაწვან. ის არის ქართველი ქალის შემარცხვენილი!"

## თვისებრივი მონაცემები

### ტელევიზიების მიერ სიძულვილის ენის გაშუქება

მონიტორინგის პერიოდში ტელევიზიების დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული 13 სიუჟეტიდან, რომელიც პოლიტიკოსთა ჰომოფობიურ განცხადებებს შეიცავდა, 3 შემთხვევაში (საზოგადოებრივი მაუწყებელი 2, "იმედი" 1) არ იყო აღნიშნული, რომ გამოხატვა ჰომოფობიური იყო, სამ შემთხვევაში (საზოგადოებრივი მაუწყებელი 2, "მაესტრო" 1), სიუჟეტში მკაფიოდ იყო განსაზღვრული გამოხატვის ჰომოფობიური ხასიათი, ხოლო "რუსთავი 2"-ზე, "იმედსა" და "ტაბულაზე" წარმოდგენილი იყო არასამთავრობოთა კომენტარები, სადაც გამოხატვის ჰომოფობიური ხასიათზე იყო საუბარი. "კავკასიის" ეთერში გასული 2 სიუჟეტიდან მხოლოდ ერთში იყო მოყვანილი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის კომენტარი პოლიტიკური სუბიექტის მიერ ჰომოფობიური ხასიის გამოხატვის შესახებ.

მონიტორინგის სამიზნე ტელევიზიების ეთერში, პოლიტიკოსთა ქსენოფობიური გამოხატვის შემცველი 4 სიუჟეტიდან ("ობიექტივი" 3, "კავკასია" 1), პოლიტიკური სუბიექტების მიერ გაკეთებული განცხადებების ქსენოფობიური ხასიათი სიუჟეტების სარედაქციო ტექსტებში არ აღნიშნულა.

### ონლაინ მედიაში სიძულვილის ენის გაშუქება

გასხვავებული ტენდენცია გამოიკვეთა ონლაინ მედიაში, ქსენოფობიური განცხადებების გაშუქებისას. "ნეტგაზეთის" მიერ გამოქვეყნებულ მასალებში (2), პოლიტიკურ პარტიათა საგარეო პრიორიტეტების განხილვისას თურქეთთან მიმართებაში, "პატრიოტთა ალიანსის" ლიდერთა პოზიცია აღწერილია, როგორც "აგრესიული დამოკიდებულება" და აღნიშნულია, რომ პარტია აჭარაში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგ აქტიურად ადვოკატირებდა. სტანდარტის დაცვით გამოქვეყნდა "ნეტგაზეთზე" "სოციალისტური საქართველოს" ლიდერის, გრიშა ონიანის "ნაციონალური მოძრაობის" წევრების მიმართ გამოთქმული სიძულვილის ენის შემცველი ფრაზა.

"ხელისუფლებაში მოსასვლელად არ ვემზადები, მაგრამ თქვენს [ნაციონალური მოძრაობა] ჩასაქოლად კი მოვემზადები".

"ნეტგაზეთის" მასალაში ნათლად არის აღნიშნული, რომ "ტვ პირველის" ეთერში, "ნაციონალური მოძრაობის" წევრებთან დაპირისპირებისას "სოციალისტური საქართველოს" ლიდერმა, გრიშა ონიანმა ოპონენტების მიმართ სიძულვილის ენა გამოიყენა.

ონლაინ მედიაში პოლიტიკური სუბიექტების მხიდან ჰომოფობიური შინაარსის განცხადებების გაშუქებისას "ნეტგაზეთმა" 2 შემთხვევაში აღნიშნა გამოყენებული ლექსიკის ჰომოფობიური ხასიათი, ხოლო "ინტერპრენიუსს" 1 შემთხვევაში სათაურში ჰქონდა გამოტანილი ის გარემოება, რომ: "თამაზ მეჭიაურმა ლგბტ აქტივისტებსა და ჟუნრალისტს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა."



ონლაინ გამოცემებიდან ჰომოფობიური შინაარსის ყველაზე მეტი (12) მასალა "მარშალპრესზე" გამოქვეყნდა. ამასთან, "მარშალ-პრესის" სტატიებში სარედაქციო ტექსტი არ აღნიშნავდა გამო-ხატვის ჰომოფობიურ ხასიათს. დისკრიმინაციული შინაარსის 12 სტატიიდან 2 სტატიას თან მანიპულაციური ფოტო ახლდა. დეპუტატ თამაზ მეჭიაურის მიერ გაკეთებულ

დისკრიმინაციულ განცხადებას "მარშალპრესზე" თან ახლდა ფატიანი კაცის ფოტომონტაჟი, ხოლო არჩევნების თანადროულად, კონსტიტუციაში ოჯახის ცნების განმარტების მიზნით, რეფერენდუმისთვის ხელმოწერების შეგვოვებაზე მომზადებულ მასალას, გამოცემამ თან LGBT PRIDE-ის დროს გადაღებული ფოტოსურათი დაურთო.

რეფერენდუმის საკითხს ეხებოდა "მარშალპრესზე" გამოქვეყნებული მასალა, რომელიც პრეზიდენტის გადაწყვეტილებით (არ დაეჭირა მხარი არჩევნებთან ერთად რეფერენდუმის ჩატარებისთვის), უკმაყოფილო ჟურნალისტის ბონდო მძნარაშვილის facebook პოსტს ასახავდა. სათაურად პოსტის ციტატის ნაწილია გამოტანილი "აუხსენით ვინმე მაღლიანმა, რომ მის მრავალფეროვან და მდიდარ სექსუალურ ცხოვრებასაც არაფერი ემუქრება", ხოლო შემდეგ სრული ციტატა:

"პრეზიდენტ მარგველაშვილს ჰგონია, რომ რეფერენდუმის დანიშნით ქსოვას აუკრძალავენ. აუხსენით ვინმე მაღლიანმა, რომ მის მრავალფეროვან და მდიდარ სექსუალურ ცხოვრებასაც არაფერი ემუქრება, თორემ შიშები დასჩემდა."

მასალას თან ახლავს ფოტომონტაჟი, სადაც პრეზიდენტი დოლარის კუპიურებთან ერთადაა ასახული, რაც გიორგი მარგველაშვილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, არ დაეჭირა მხარი კონსტიტუციაში LGBT პირების მიმართ დისკრიმინაციული ცვილებების შეტანისთვის, მოსყიდვისა და ფინანსური სარგებლის მიღების კონტექსტს უქმნის.



საგულისხმოა, რომ "მარშალპრესზე" გამოქვეყნებული ჰომოფობიური შინაარსის 12 სტატიდან, 5-ის წყარო სხვა მედია საშუალება ("ობიექტივი", "საერთო გაზეთი", "იბერია", "ინტერფაქტინუსი") იყო, ხოლო ერთის წყაროს პოლიტიკოსის (შალვა ნათელაშვილის) ფეისბუქ გვერდი წარმოადგენდა.

"მარშალპრესზე" გამოქვეყნებული ჰომო-ფობიურ და დისკრიმინაციული ხასიათის 13 მასალიდან 9 შემთხვევაში სათაურად რესპონდენტის ძალადობრივი ან დისკრიმინაციული ციტატები იყო გამოტანილი:

"მარიამ საჯაია გამოიყვანონ, კოცონი დაანთონ და დაწვან, ზუსტად ასე დაწერეთ!" – გივი სიხარულიძე;

"მეგობარი, პარტნიორი – საყვარელი, ნაშა. გეი, ცისფერი – პედარასტი. სექსმუშაკი – ბოზი – შეიცვალა რამე?" – კაჭახიძე;

"ქვებით ჩასაქოლია სააკაშვილი" -დაუდგენელია დაბრუნდა თუ არა სანდრა რულოვსის მიერ მუზეუმიდან გატანილი ფიროსმანის ნამუშევრები;

"ფატიან კაცებს ისურვებდით თქვენ ოჯახში – გაბანჯგვლულებს და წვერებიანებს?" – მეჭიაური;

შალვა ნათელაშვილის ჟურნალისტს: "შე პედერასტო ბავშო, არ ანებებ თავს ტრ\*კის მიმცემების...";

"გაიგეთ რა გაუკეთებიათ ამ გადაგვარებულებს?!" – მიქიაშვილი;

"მაგ ენას ამ ნამგლით ამოგჭრით და მაგ რეგვენ თავებს ამ ჩაქურით გაგიხეთქავთ", – კვარაცხელია;

"ამბობენ რომ იქნება წამალი, რომელსაც ორსულს გაუკეთებენ და ბავშვი ჰომოსექსუალი აღარ იქნება";

"შთაბეჭდილება მქონდა, რომ ფსიქიატრიული პაციენტი დაუსვეს ბიძინა ივანიშვილს";


"კიდევ ერთხელ მოხვდებით გვერდებში, ველით არეულობას".

## 2. კოლიფიკური სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა და სტერეოტიპები საზღვარგარეთ და ონლაინ მედიაში

მონიტორინგის პერიოდში (1 აპრილი - 15 ოქტომბერი, 2016), მედია მონიტორინგის შედეგად, შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:


- საარჩევნო სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა როგორც ტელევიზიების პრაიმ-თაიმის სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებში, ასევე ონლაინ მედიაში თითქმის იდენტურია: ტელევიზიებსა (კაცი -84%, ქალი -16 %) და ონლაინ მედიაში (კაცი -85%მ ქალი -15%) კაცების წარმომადგენლობა მნიშვნელოვნად აღარბებს ქალებს.
- ცესკოს წინასწარი მონაცემები, რომლის თანახმად, საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული სიით პარლამენტში გასული ქალების რაოდენობა 25%-ია (19ქალი), აჩვენებს, რომ მედია არასრულად ასახავს ქალ პოლიტიკოსთა გენდერულ წარმომადგენლობას.
- **თელემედიის** ქალ პოლიტიკოსთა 63,4% კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელია, 22,1%- მთავრობის, 5,9% - პრეზიდენტის აპარატის, 4,3% - ცესკოს; 2%- ახლადდაფუძნებული პოლიტიკური პარტიების; 1,28 % - დამოუკიდებელი დეპუტატის ან კანდიდატის; 1,2% -არასაპარლამენტო ოპოზიციის; 0,01% - უწყებათაშორისი კომისიის.
- **ონლაინ-მედიაში** მთავრობის წარმომადგენელი ქალების წილი 29,1%-ს შეადგენს, კვალიფიციური პარტიების წარმომადგენლების წილი კი 56,4%-ს უტოლდება; პრეზიდენტის აპარატის წარმომადგენელთა მაჩვენებელია 6,2%; ცესკო - 3,9%; ახლადდაფუძნებული პარტიების - 1,9%; დამოუკიდებელი დეპუტატები და კანდიდატები 1,24%; არასაპარლამენტო ოპოზიციის - 1,21%; უწყებათაშორისი კომისია - 0,01%.

დიაგრამა 2.1. პოლიტიკური სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა TV და ონლაინ მედიაში (1 აპრილი- 15 ოქტომბერი, 2016)




ტელემედიიდან ქალ პოლიტიკურ სუბიექტებს ყველაზე მეტ დროს ტელეკომპანია "ობიექტივი" უთმობდა (19%), რომელსაც 2%-ით ჩამორჩება "რუსთავი 2" (17%), "ტაბულა" (17%) და GDS-ს (17%). შემდეგ ადგილზეა "კავკასია" (16%) და საზოგადოებრივი მაუწყებელი (15%). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ტელეკომპანია "მაესტროსა" (14%) და "იმედს" (14%) აქვთ.

დიაგრამა 2.2. პოლიტიკური სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა ტელევიზიებში.



ონლაინ-მედიიდან ქალი პოლიტიკოსების გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სააგეტო PIA-ს (18 %) აქვს, შემდეგ ადგილზეა "ნეტგაზეთი" (17%), რომელსაც მოსდევს IPN (15%) და "პირველი რადიო" (14%). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი აქვს "მარშალპრესს" (13%).


დიაგრამა 2.3. პოლიტიკური სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა ონლაინ მედიაში. (1 აპრილი - 15 ოქტომბერი, 2016)



როგორც დიაგრამა 2.4 აჩვენებს, სამონიტორინგო პერიოდში ქალთა წარმომადგენლობის მხრივ განსხვავებული დინამიკა გამოვლინდა:


- საწყისის 11%-დან (აპრილი) ქალი პოლიტიკოსების გაშუქებამ სატელევიზიო მედიაში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს (18%) ივნისში მიაღწია, თუმცა ეტაპობრივი ზრდის ტენდენციას შემდგომ პერიოდში კლება მოჰყვა და სექტემბერში 14%-იან ნიშნულს მიაღწია. საინტერესო იყო არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ კვირების პერიოდი, როცა ქალთა გაშუქების სტატისტიკური მაჩვენებელი გაზრდილია ტელემედიაში მცირედად (15%).
- ცვალებადი დინამიკა გამოვლინდა ონლაინ-მედიაშიც, სადაც საწყისი 14%-დან (აპრილი) ყველაზე მკვეთრი მატება აგვისტოში (18%), ყველაზე მკვეთრი ვარდნა კი (12%-მდე) სექტემბერში გამოიკვეთა, თუმცა არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ კვირას 19%-მდე გაიზარდა.

დიაგრამა 2.4. ქალ პოლიტიკოსთა გაშუქების დინამიკა თვეების მიხედვით (1 აპრილი -15 ოქტომბერი 2016)




6,5 თვის განმავლობაში შენარჩუნებულია მონიტორინგის პირველ 4 თვეში გამოკვეთილი ტენდენცია, როცა ტელემედიაში ქალი პოლიტიკოსების პირდაპირი გაშუქება (75%) კაცი პოლიტიკოსებისას (65%) აჭარბებს.

დიაგრამა 2.5. ქალ პოლიტიკოსთა პირდაპირი/ირიბი გაშუქება ტელემედიაში. (1 აპრილი-15 ოქტომბერი, 2016)



ტელემედიაში ქალი პოლიტიკოსების გაშუქების ნეიტრალური ტონი (87%) კაცი პოლიტიკოსების გაშუქების ნეიტრალურ ტონს (80%) აჭარბებს, ქალი პოლიტიკოსების როგორც პოზიტიური (7%), ისე ნეგატიური (6%) გაშუქების მაჩვენებელი კი კაცი პოლიტიკოსების შესაბამის მაჩვენებლებს (პოზიტიური 10%, ნეგატიური 10%) ჩამორჩება. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების ნეგატიური მაჩვენებელი, მონიტორინგის პირველ 4 თვესთან შედარებით, ბოლო ორი თვის განმავლობაში მიუხედავად გენდერული კუთვნილებისა, ზოგადად გაზრდილია.


დიაგრამა 2.6. ქალი და მამაკაცი პოლიტიკოსების გაშუქების (კონტენტის) ტონი ტელემედიაში (1 აპრილი -15 ოქტომბერი, 2016)



ტელემედიის მსგავსად ქალი პოლიტიკოსების პირდაპირი გაშუქება (59%) კაცი პოლიტიკოსებისას (51%) აღემატება ონლაინ მედიაში. ამავე დროს, ონლაინ მედიაში ქალთა ირიბი გაშუქების მაჩვენებელი (41%) ტელევიზიის შესაბამის მაჩვენებელს (25%) მნიშვნელოვნად აღემატება.




დიაგრამა 2.7. ქალი და კაცი პოლიტიკოსების პირდაპირი/ირიბი გაშუქება ონლაინ მედიაში (1 აპრილი -15 ოქტომბერი, 2016)




ონლაინ-მედიაში, ტელე-მედიის მსგავსად, ქალი პოლიტიკოსების კონტენტის ნეიტრალური ტონი (91%) კაცი პოლიტიკოსების კონტენტის ნეიტრალურ ტონს (82%) აღემატება. ამასთან, კაცი პოლიტიკოსები, ისევე, როგორც მონიტორინგის პირველი ოთხი თვის განმავლობაში, უფრო პოზიტიურად არიან გაშუქებულები, რადგან მათ საერთო გაშუქებაში პოზიტიური კონტენტი 12%-ია, მაშინ როცა ქალი პოლიტიკოსების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ ნაკლები, 5%-ია. შედარებით ნაკლებია განსხვავება ნეგატიურ გაშუქებაში (ქალი 4%, კაცი 6%);

დიაგრამა 2.8. ქალი და კაცი პოლიტიკოსების პირდაპირი/ირიბი გაშუქება ონლაინ მედიაში (1 აპრილი -15 ოქტომბერი, 2016)




ქალი პოლიტიკოსების გაშუქების თემატიკა. მედია-გაშუქების თემატიკა ანალიზმა 6 თვის განმავლობაში აჩვენა, რომ ტელე-მედიაში ქალი პოლიტიკოსები ყველაზე მეტად შემდეგი 3 თემატიკის ჯგუფის ფარგლებში არიან გაშუქებული: მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები (18,7%); პოლიტიკური პარტიების ღონისძიებები, კანდიდატების წარდგენები (17,5%) და არჩევნებთან დაკავშირებული საკანონმდებლო თუ სხვა საკითხები (16%). შემდეგ ადგილს კი პოლიტიკური კონფრონტაცია იკავებს (8,8%). თუ მონიტორინგის პირველი 4 თვის განმავლობაში საკმაოდ მაღალი პროცენტით (8%) იყო წარმოდგენილი სამხედრო თემატიკა, რაც, განპირობებული იყო თავდაცვის მინისტრისა და მისი მოადგილის გენდერული კუთვნილებით, მათ მიერ თანამდებობების დატოვების შემდეგ (1 აგვისტოს), სამხედრო თემატიკის გაშუქების მაჩვენებელი ქალ პოლიტიკოსებთან მიმართებით შემცირდა და 6,5 თვის მონაცემით უკვე 4,8 % შეადგინა; ქალი პოლიტიკოსების გაშუქების თემატიკაში კვლავ 2 პროცენტზე ნაკლები მაჩვენებელი აქვს განათლებას (1,4%), ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების საკითხებს (1,2%), გარემოს დაცვას (1,1%); სოციალური საკითხები, ჯანდაცვა და სხვა თემები კი 1%-ზე დაბალი გაშუქების მაჩვენებლით გამოირჩეოდნენ, რაც დიაგრამაზე კატეგორია „სხვაშია“ გაერთიანებული.

დიაგრამა 2.9. ქალი პოლიტიკოსების გაშუქების თემატიკა ტელე მედიაში



ონლაინ-მედიაში, ტელემედიისგან განსხვავებით, ქალი პოლიტიკოსების გაშუქების თემატიკაში პირველ ადგილზეა პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების გაშუქება (26,4%), რომელსაც სხვადასხვა პოლიტიკური აქტორის მიერ პოლიტიკური მოვლენების შეფასებები მოჰყვება (12,8%); მესამე ადგილზე არის საარჩევნო საკითხები 11,4%, რომელსაც მოსდევს (8,6%) მართლმსაჯულების საკითხები და, მცირედი განსხვავებით (8,5%), საგარეო ურთიერთობები. განათლებას ქალ პოლიტიკოსებთან მიმართებაში, მხოლოდ 1.6% ეთმობა, ხოლო კონფლიქტურ რეგიონებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს 1,3%. სხვა-ში გაერთანებულია 1%-ზე ნაკლები გაშუქების მქონე საკითხები, მაგალითად რელიგია (0,1%); ჯანდაცვა (0,2%), კულტურა, სპორტი (0,2%), გარემოს დაცვა, სტიქია (0,4%), ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა (0,7%), ადამიანის უფლებები, უმცირესობები (0,8%) და სხვა.

დიაგრამა 2.10. ქალი პოლიტიკოსების გაშუქების თემატიკა ონლაინ მედიაში (1 აპრილი -15 ოქტომბერი, 2016)



გენდერული სტერეოტიპები/დისკრიმინაცია. 6,5 თვის განმავლობაში მონიტორინგის სამიზნე მედიაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან გენდერული სტერეოტიპების შემცველი გამოხატვის სულ 6 შემთხვევა გამოიკვეთა, რაც მონიტორინგის ქვეშ მყოფმა მედია საშუალებებმა 12-ჯერ გააშუქეს. მათგან 4-ის წყარო გახლდათ "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" (მათ შორის ყველაზე აქტიურად გაშუქდა (7 მედია-საშუალების მიერ) კახი კალაძის განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე: "საქმე გვაქვს ჭორიკნობასთან, როდესაც ქალბატონები ჭორაობენ"); ორის

კი - "საქართველოს ლეიბორისტული პარტია", რომელიც იდენტური შინაარსის იყო (შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა). მედია ძირითადად არ მიანიშნებს განცხადებების გენდერული ნიშნით დისკრიმინაციულ ხასიათზე და კომენტარის გარეშე, ფაქტის კონსტატაციით შემოიფარგლება.

შალვა ნათელაშვილი, "ლეიბორისტული პარტია": „იდეა არ აქვს [ბიძინა ივანიშვილს], ინტელექტი არ აქვს, იცის თვალთვალი, იცის ორღობის ქალივით ჭორაობა“ (პირველი რადიო, 16 სექტემბერი).